საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №75/2021
2021 წლის 16 ოქტომბერი

ქ. თბილისი

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 53-ე მუხლის პირველი პუნქტით ცესკოს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა წარედგინოს არაუგვიანეს 18 ოქტომბრისა.

მუხლი 3

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 53-ე მუხლის მე-2 პუნქტით ცესკოს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენილი გეგმის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის განკუთვნილი დაფინანსება გამოიყოს ცესკოს შესაბამის საბიუჯეტო პროგრამულ კოდზე.

მუხლი 4

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი**
კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**

დანართი

პროგრამული კოდი	**ხარჯთაღრიცხვა**	**სულ (ლარი)**
06 04	**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია**	**11,653,000**
	ხარჯები	11,653,000
	შრომის ანაზღაურება	7,135,000
	საქონელი და მომსახურება	3,017,000
	სხვა ხარჯები	1,501,000
06 04 01	**არჩევნების ჩატარების ღონისძიებები**	**11,382,000**

	ხარჯები	11,382,000
	შრომის ანაზღაურება	7,033,000
	საქონელი და მომსახურება	2,848,000
	სხვა ხარჯები	1,501,000
06 04 02	**არჩევნებისთვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება**	**271,000**
	ხარჯები	271,000
	შრომის ანაზღაურება	102,000
	საქონელი და მომსახურება	169,000